Information for Authors

The journal publishes articles prepared by one or several authors. A submitted article must not have been previously published or submitted to another publication for printing. In the event that **plagiarism** is detected, the work is automatically disqualified, and subsequent texts provided by the author will no longer be accepted.

Submission of Articles

- Authors must send their articles to the journal's email: **es@tsu.ge**.
- Submissions are accepted in both **Georgian and English**.
- Articles must be uploaded in **Microsoft Word** format.

Review Process

- Submitted articles undergo a **technical check** before the formal review. If deficiencies are found, the text is returned to the author for correction **only once**. If technical violations persist in the updated version, the article will not proceed to the next stage.
- If there are no technical flaws, the **Editorial Board** reviews the article. Following a positive internal evaluation, the article undergoes **anonymous external peer review**. Reviewers are scholars from Georgian and foreign universities whose expertise aligns with the article's theme.
- The review period is **two to four months**, though the editorial office aims for a minimum timeframe.

Copyright and Ethics

Authors must sign a copyright agreement before publication (see the Law of Georgia on Copyright and Related Rights). If the article contains previously published material, the author must obtain written permission from the copyright holder.

Stylistic and Orthographic Quality

Authors are responsible for the stylistic and orthographic correctness of the text and the proper use of terminology. The board may refuse to consider stylistically flawed articles or recommend linguistic editing by a specialist chosen by the board.

Technical Requirements

- **Font:** Sylfaen
- **Font Size:** 11
- **Line Spacing:** 1
- **Page Numbering:** Bottom right corner
- **Word Count:** 3,000 to 6,000 (excluding bibliography and appendices)
- **Visuals:** Tables, graphs, and photos must be numbered with sources indicated.

- **Citations: APA Style** must be followed for both in-text citations and the bibliography.

Structure of the Paper

Title Page	• Title (in Georgian & English) • Author's name/surname (in Georgian & English) • Affiliation (in Georgian & English) • Email
Abstract	400-500 words in one paragraph (In Georgian & English)
Keywords	3-5 words (preferably not from the title; in Georgian & English)
Main Body	• Introduction • Literature Review/Theoretical Framework • Methodology • Results/Discussion
Conclusion	Final summary of findings
AI Disclosure	Statement on whether AI tools were used; if so, specify which ones and how
Bibliography	Must be formatted in **APA Style**

APA Citation Examples

Dahlman, C. T. (1957). The concept of urban geography. Behavioral Science, 2(3), 201–215.

Foucault, M. (1980). Discipline and Punish: The Birth of the Prison. Pantheon.

Locke, J. (1988). Some Thoughts Concerning Education (P. Laslett, Ed.). Cambridge University Press. (Original work published 1693).

Smith, J. (2021, October 12–14). The evolution of digital journalism [Conference session]. International Sociological Association (ISA) World Congress, Lisbon, Portugal.

World Bank. (2022). Demographic trends: Migration and urbanization issues (Report No. 452).

For additional information, you may contact: es@tsu.ge .

ინფორმაცია ავტორთათვის

ჟურნალი აქვეყნებს ერთი ან რამდენიმე ავტორის მიერ მომზადებულ პუბლიკაციას. რედაქციაში შემოსული სტატია ჟურნალში მიღებამდე არ უნდა იყოს გამოქვეყნებული ან სხვა გამოცემაში დასაბეჭდად წარდგენილი. პლაგიატის აღმოჩენის შემთხვევაში, ნაშრომი ავტომატურად დისკვალიფიცირდება და ავტორის მიერ მოწოდებული სხვა ტექსტები შემდგომში აღარ მიიღება.

სტატიის წარდგენა

- ავტორებმა სტატია უნდა გამოგზავნონ ჟურნალის ელფოსტაზე es@tsu.ge;
- სტატიის წარდგენა შესაძლებელია ქართულ და ინგლისურ ენებზე;
- სტატია უნდა აიტვირთოს MicroSoft Word–ის ფორმატში.

განხილვა

- ჟურნალის რედაქციაში განსახილველად შემოსული სტატიები განხილვამდე გაივლიან ტექნიკურ შემოწმებას. ხარვეზების არსებობის შემთხვევაში, ტექსტი დაუბრუნდება ავტორს გასასწორებლად მხოლოდ ერთხელ. თუ განახლებულ ვერსიაში ტექნიკური დარღვევები კიდევ იქნება, სტატია განხილვის შემდეგ ეტაპზე ვერ გადავა.
- ტექნიკური ხარვეზების არარსებობის/აღმოფხვრის შემთხვევაში სტატიას განიხილავს სარედაქციო კოლეგია. დადებითი შეფასების შემთხვევაში წარმოდგენილი სტატია გაივლის ანონიმურ გარე რეცენზირებას. რეცენზენტებად მოიაზრებიან საქართველოსა და საზღვარგარეთის უნივერსიტეტებში მოღვაწე მეცნიერები, რომელთა კომპეტენცია და აკადემიური ინტერესები თანხვდება სარეცენზიო სტატიის თემატიკას.
- სტატიის განხილვის ვადა ორიდან ოთხ თვემდეა, თუმცა, რედაქცია მოწოდებულია, ნაშრომი მინიმალურ ვადაში განიხილოს.

საავტორო უფლებები

ავტორ(ებ)მა, სტატიის გამოქვეყნებამდე, ხელი უნდა მოაწეროს ხელშეკრულებას საავტორო უფლებების შესახებ (იხ. საქართველოს კანონი საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ). თუ სტატია შეიცავს ადრე გამოქვეყნებულ მასალას (ტექსტს, სქემებს ან ცხრილებს), ავტორი ვალდებულია, მოიპოვოს წერილობითი ნებართვა საავტორო უფლების მფლობელისაგან (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

სტილისტურ–ორთოგრაფიული მხარე

ავტორ(ებ)ი პასუხისმგებელია: ნაშრომის ტექსტი მოგვაწოდოს სტილისტურად და ორთოგრაფიულად გამართული; სწორად შეარჩიოს სპეციფიკური ტერმინოლოგია. სარედაქციო კოლეგია უფლებამოსილია, სტილისტურად გაუმართავი სტატია არ განიხილოს ან გასცეს რეკომენდაცია, სტატიამ გაიაროს ენობრივი რედაქტირება სარედაქციო კოლეგიის მიერ შერჩეულ სპეციალისტთან.

ძირითადი ტექნიკური მოთხოვნები

შრიფტი: Sylfaen;

შრიფტის ზომა: 11;

სტრიქონებს შორის ინტერვალი - 1;

გვერდების დანომვრა - ქვედა მარჯვენა კუთხე;

სიტყვების რაოდენობა: 3000-დან 6000-მდე (ბიბლიოგრაფიის და დანართის გარეშე);

ცხრილები, გრაფიკები, ფოტოები და სხვა ვიზუალური მასალა უნდა დაინომროს შესაბამისად და მიეთითოს წყარო;

ციტირება: APA სტილი. მნიშვნელოვანია, რომ დაცული იყოს როგორც ტექსტშიდა ციტირების, ისე - ბიბლიოგრაფიის გაფორმების წესები.

ნაშრომის სტრუქტურა

თავფურცელი	• სათაური (ქართულ და ინგლისურ ენებზე) • ავტორის სახელი და გვარი (ქართულ და ინგლისურ ენებზე) • აფილაცია (ქართულ და ინგლისურ ენებზე) • ელფოსტა
აბსტრაქტი	400-500 სიტყვა ერთ პარაგრაფად (ქართულ და ინგლისურ ენებზე)
საკვანძო სიტყვები	3-5 (უმჯობესია, არ შეიცავდეს სათაურის სიტყვებს) (ქართულ და ინგლისურ ენებზე)
ძირითადი ნაწილი	• შესავალი • ლიტერატურის მიმოხილვა, თეორიული ჩარჩო • კვლევის მეთოდოლოგია • კვლევის შედეგები/დისკუსია
დასკვნა	ძირითადი მიგნებების შეჯამება და ბმა თეორიულ ჩარჩოსთან
მითითება ხელოვნური ინტელექტის გამოყენების შესახებ	გამოიყენეთ თუ არა ხელოვნური ინტელექტის ხელსაწყოები. თუ კი, კონკრეტულად რომელი და რა სახით?
ბიბლიოგრაფია	უნდა გაფორმდეს APA სტილით

ციტირების APA სტილის ნიმუში:

ბიბლიოგრაფია

გიდენსი, ე. (2013). სოციოლოგია (ბ. ბრეგვაძე, მთარგმნ.). ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა.

ლომიძე, ნ. (2023, 15 მაისი). თანამედროვე ჟურნალისტიკის ეთიკა [რადიო ინტერვიუ]. საქართველოს რადიო.

საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო. (2023). მედიაგარემოს კვლევა 2022.

საქართველოს პარლამენტი. (1995). საქართველოს კანონი გარემოს დაცვის შესახებ.

ჯავახიშვილი, ი. (2023, 10 ნოემბერი). კავკასიის ფიზიკური გეოგრაფია. გაზეთი რეზონანსი, 4-5.

Dahlman, C. T. (1957). The concept of urban geography. Behavioral Science, 2(3), 201–215.

Foucault, M. (1980). Discipline and Punish: The Birth of the Prison. Pantheon.

Locke, J. (1988). Some Thoughts Concerning Education (P. Laslett, Ed.). Cambridge University Press. (Original work published 1693).

Smith, J. (2021, October 12–14). The evolution of digital journalism [Conference session]. International Sociological Association (ISA) World Congress, Lisbon, Portugal.

World Bank. (2022). Demographic trends: Migration and urbanization issues (Report No. 452).

დამატებითი ინფორმაციისათვის შესაძლებელია მომართვა მისამართზე: es@tsu.ge .